ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5671151

ნომერი: AR1857427

თარიღი : 21.10.2021

გაცემის თარიღი : 05.11.2021

გაცნობის თარიღი : 23.12.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ზღვისუბანი , მიკრო/რაიონი XI , კვარტალი II , "არაშენდა"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ავსაჯანიშვილი პ/ნ 01019067136
- თბილისი ა.წიკლაურის ქ. N 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5042946 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 21 ოქტომბერს №AR1857427 განცხადებით მომართა ირაკლი ავსაჯანიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020

წლის 31 ივლისის №5042946 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 24 მარტის №4885299 ბრძანებით №01.12.02.020.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5042946 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 31 ივლისიდან 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს ჯი ელექტრონიქსი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 454407062).
სამსახურის 2021 წლის 30 სექტემბრის №5617972 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 24 მარტის №4885299 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5042946 ბრძანებაში ცვლილების შეტანას კერძოდ, დამკვეთად ძველი მესაკუთრის - შპს ჯი ელექტრონიქსის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 454407062) ნაცვლად ახალი მესაკუთრის - შპს ეიმ ბილდინგ კომპანის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206318046) დაფიქსირებას.
დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882021855871; მომზადების თარიღი: 11/10/2021 წ.) №01.12.02.020.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ეიმ ბილდინგ კომპანი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206318046).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B19065716, მომზადების თარიღი: 12/06/2019 წ.) შპს ეიმ ბილდინგ კომპანის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206318046) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კახაბერ ხატიაშვილი. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია კახაბერ ხატიაშვილის მიერ განმცხადებლის - ირაკლი ავსაჯანიშვილის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დამკვეთად დააფიქსიროს შპს ეიმ ბილდინგ კომპანი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206318046).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5042946 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ეიმ ბილდინგ კომპანი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206318046).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5042946 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5042946 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.